

თავისუფლებისთვის მებრძოლნი

საბრძოლო იარაღს ქართველი კაცისთვის ყველა დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ის გვეხმარებოდა თავისუფლების შენარჩუნებაში და რადგან საუკუნეების განმავლობაში მუდმივად გვიხდებოდა ბრძოლა თავისუფლების დასაცავად, ქართველს იარაღი მუდამ თან ჰქონდა შრომის თუ მოლხენის დროს. ერთი ხალხური ლექსი გვეუბნება: „განა არ იცი მე ხმალი სახლ-კარს და ცოლ-შვილს მერჩია?!“ ქართულ ეროვნულ სამოსსაც ხომ ქამარ-ხანჯალი ამშვენებს.

წელს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი მხედართმთავრის, ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წელი გავიდა, ვფიქრობ როგორი იყო მისი სამეფო იარაღი, მრავალ საბრძოლო ქარტეხილში გამოწრთობილი, მრავალი გამარჯვების მონაწილე... ერეკლე ხომ იარაღის წარმოებას დიდ ყურადღებას უთმობდა. ის პირველი ქართველი მეფე იყო, რომელმაც ზარბაზნების წარმოებას სერიოზულად მოჰკიდა ხელი.

ვფიქრობ... და წარმოვიდგენ, თითქოს მე მერგო პატივი პატარა კახის პირადი იარაღის მცველი გავხდე. გავკადნიერდი და ჩემს წარმოსახვაში თვით მეფე ერეკლე მახარებს თავის იარაღის კოლექციას დასაცავად.

... საცავის ძიმე კარი ხმაურით იღება, სინათლის სხივი ეცემა ოთახს და თვალისმომჭრელად ბრწყინავს სხვადასვა ძვირფასი ლითონით გაწყობილი ეროვნული საგანძური.

ეს მინანქრის ჯავარდენი ხმალია, თავისი ყაწიმით, ბალთებით და სავადით გაწყობილი.

ასპინძის ბრძოლაში უმშვენებდა მეფეს წელს .

1770 წლის 20 აპრილს სწორედ ამ ხმლით განგმირა ლეკთა ბელადი მალაჩალა, იგივე კოხტა ბელადი- პირველ მეომრად ცნობილი მთელს დაღესტანში. სწორედ რომ დიადი გამარჯვების მონაწილეა ეს ხმალი...

აქვია ძველი ხევისურული ხმალი ყაწიმით და სავადით სადა ოქრო. მეფე ყადიმს უწოდებს, ყადიმი სპარსულად ძველს ნიშნავს. მის გვედით კიდია დურბინდი -ცალი თვალი აკლია. მათი ტარება მეფეს სამეფოს დათვალეირების დროს უყვარდა. შეჯდებოდა ხოლმე ცხენზე და გადაავლებდა სამეფოს თვალს.

ეს კი თას-კულაა, მის დანახვაზე მოხუც მეფეს თვალები ცრემლით ევსება . ის ხომ მის დიდ იმედს და ნუგეშს, ლევან ბატონიშვილს ეკუთვნოდა... მასზე ამყარებდა იმედებს ერეკლე, კარგი მეომარი და გულადი ვაჟკაცი იყო, მორიგე ჯარს ხელმძღვანელობდა... გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა...

სევადიანი ვერცხლის საპირწონე დევს პატარა ყუთში. ძალიან მნიშვნელოვანი ნივთია . ბევრ ბრძოლაში გამოუყენებია მეფეს. ავლაბრის ციხესთან მისი ბრძანებით თაყუაშვილების აშენებულ ქარხანაში წარმოებული თოფის წამლით ავსებდა და ტენიდა თოფს. ბევრი გამარჯვების მომსწრეა ესეც...

საცავის კიდევ ერთი მძიმე კარი იღება, ნელი ნაბიჯით შედის მეფე. აქ კედელზე ძველი ოქროს ხანჯალია. მეფე მასაც ყადიმს უწოდებს. ეს ხანჯალი მუდამ ზედ ახლდა ბატონს... ახლა იცის, რომ ვედარ შეძლებს მის ტარებას. მუხლი აღარ უჭრის, თუმცა ძველი სიფიცხე შემორჩა ჯერ კიდევ...

ხანჯლის მოპირდაპირე კედელზე ძველი ფრანგული თოფია. მის დანახვაზე სინანულის და სიბრაზის ცეცხლი ეკიდება პატარა კახს. ახსენდება...

იმ საბედისწერო დღესაც ასე ეკიდა. გაწმენდა ბრძანა. ისევ საომრად ემზადებოდა, 5000 ქართველი ვაჟკაცი შეკრიბა. მეტი არ იქნებოდა საჭირო, რუსეთისგან ელოდა დანხარებას. პირობა ხომ რამდენიმე წლის წინ მიიღო... გაუცრუვდა იმედი მეფეს, რუსეთს მისი სამეფოს დასუსტება უფრო აძლევდა ხელს...

თოფის ქვემოთ დამბაჩაა, ესეც სალტებით. აქვეა ძველი საპირისწამლე ოქროს ყაწიმით. სიამაყით შეჰყურებს. ორივე მის ბრძანებით 1749 წელს თბილისში აშენებულ საარტილერიო ქარხანაშია დამზადებული. ის ხომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გადაწყობას ცდილობდა. სესხის აღებაც უნდოდა ევროპის ზოგიერთი ქვეყნისგან, თუმცა ევროპა იმ დროს ჩვენი ქვეყნით ნაკლებად იყო დაინტერესებული.

ქვეისგან გამოყვანილ თაროზე აწყვია წელსარტყამი ვერცხლის ბალთებით და სავადით, ოქროს დაფერილი ჩანთები ფოლაქებით, ტყავით და ხამლით გაწყობილი. ესენი სხვადასხვა ლაშქრობებში ჰქონდა მეფეს თან.

დადლილია პატარა კახი... საცავის კარში ნელი ნაბიჯით გადის, საშუალო სიმაღლის, ოდნავ მოხრილი, კეთილი, თუმცა მაინც მკაცრი გამომეტყველებით. მთავარსარდალი, რომელმაც თავის სამეფოს ძალიან დიდხანს შეუნარჩუნა თავისუფლება. მეფე, რომლის გარდაცვალებაც დიდი დანაკლისი იქნება მთელი სამეფოსთვის. მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, იგლოვებს ყველა- დიდიც და პატარაც. შავი ჭირის ეპიდემიის გამო გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში ვერ დაკრძალავენ. მეორმოცე დღეს კი მხოლოდ სამეფო კარის მღვდელი ქრისტეფორე აბრამიძე-კეჟერაშვილი გაჰყვება თელავიდან მცხეთაში საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად და სვეტიცხოველის ტაძარში ყველა წესის დაცვით დაკრძალავს...

მცირე აღაპსაც გადაუხდის...

ნიკა პაქსაშვილი-15 წლის;

სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა.

X კლასი.